ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №28

2016 წლის 4 აპრილი

ქ. ბოლნისი

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 დეკემბრის №60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის საფუძველზენ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

მუხლი 1

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 დეკემბრის №60 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 24/12/2015, 190020020.35.158.016268) დამტკიცებულ წესში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის კუთხით დაფინანსდებიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოქალაქეები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს (მათ შორის, მოქალაქეები, რომელთაც 57000-დან 150 000-მდე სარეიტინგო ქულა მიენიჭათ 2015-2016 წწ. პეროიდში).“.

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ჩიყვითა და ვირუსული ჰეპატიტებით დაავადებულ მოქალაქეებს სამედიცინო (სტაციონარული, ამბულატორიული, რეაბილიტაციური, ფიზიოთერაპიული მკურნალობები და დიაგნოსტიკური გამოკვლევები) დახმარება გაეწევათ ერთჯერადად.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **თამაზ ჟორჟოლიანი**